სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-14

გორი 23 03 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და და იურისტის (22.03.2018. N322451) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები დანართის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს აფილირების შეთანხმების ფორმა დანართი 2-ის შესაბამისად;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

4. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

5. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

6. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის #52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

1. აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა (შემდგომში - „უნივერსიტეტი") და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

2. აფილირება არის ნებაყოფილობითი. უნივერსიტეტში აფილირებული შეიძლება იყო აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც წერილობით დაადასტურებს აფილირების სურვილს, ეთანხმება და ასრულებს ქვემოთ მითითებულ პირობებს:

ა) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

ბ) უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;

გ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროცესებში;

დ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

3. აფილირებული პირი ვალდებულია ყოველწლიურად მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეციერო სტატია/პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში.

4. აფილირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.

6. აფილირებული პირებისადმი მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) უნივერსიტეტი აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებულ სახელმღვანელოს/მეთოდურ მასალას (აკადემიური საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში) და გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სტატიას/პუბლიკაციას;

ბ) აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის შემთხვევაში უნივერსიტეტი აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს, იყენებს ბონუსების/წახალისების მექანიზმს (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი ან სხვ.);

გ) უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში აფილირებული პირის მიერ მომზადებული სტუდენტის მონაწილეობის შემთხვევაში უნივერსიტეტი აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს და აფილირებული პირის მიმართ იყენებს ბონუსების/წახალისების მექანიზმს (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი ან სხვ.)

7. აფილირება შეიძლება გაუქმდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) აფილირებული პირის წერილობითი განცხადებით აფილირების გაუქმების შესახებ;

ბ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

გ) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით აფილირების გაუქმების შესახებ აფილირებული პირის მიერ წინამდებარე წესში მითითებული პირობების ან/და ინდივიდუალური ყოველწლიური დატვირთვის მოთხოვნების დარღვევის/შეუსრულებლობის ან/და ატესტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით;

8. აფილირების გაუქმება არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას.

9. აკადემიური თანამდებობის მქონე პირს, რომელმაც გააუქმა აფილირება ან რომელსაც უნივერსიტეტის მიერ გაუუქმდა აფილირება, შეუძლია შემდგომში (შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს განცხადებით აფილირების სურვილის შესახებ. მითითებულ შემთხვევებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

დანართი 2

შეთანხმება

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის მქონე პირთან

მე ---------- პ/ნ---------- თანხმობას ვაცხადებ, რომ აფილირებული ვიყო სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლვის შედეგები ჩაეთვალოს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს.

---------- /ხელმოწერა/